საქართველოს მთავრობა

№ 07-2/163
"15" 06 2022
23 ფურცელი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონების პროექტებს: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მათ დაჩქარებული წესით განხილვას.

აღნიშნულ კანონპროექტებს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილე - ვახტანგ ბაჩიაშვილი, ხოლო ამავე კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ვლადიმერ მგალობლიშვილი.

დანართი: 3 გვ. - საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტით და მე-100 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

N19279
15.06.2022